სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

07 აგვისტო, 2026 წ.

ბრძანება №01-08/512

2025-2026 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის (ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს №01-02/160 ბრძანების, „2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის (ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 თებერვლის №01-02/35 ბრძანების, ,,2025-2026 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 04 ივნისის №01-08/436 ბრძანების, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერის 2026 წლის 04 აგვისტოს MES 4 26 0001012845 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **შეუჩერდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი** 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე იმ პირებს **(დანართი №1)**, რომლებსაც 2026 წლის 04 აგვისტოს მდგომარეობით კვლავ ერიცხებათ **2025-2026 სასწავლო წლის** სწავლის საფასურის დავალიანება, **მათ შორის:**

ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი №1);**

ბ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი №2);**

გ) ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი №3);**

დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი №4);**

ე) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი №5);**

ვ) ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი №6);**

ზ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი №7).**

2. ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება ბსუ-ს პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს შესაბამის სტუდენტებს (ბრძანების შესაბამისი დანართის შესაბამისი ნაწილის ამონარიდი, სხვა სტუდენტების იდენტიფიცირების გარეშე).

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**